სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ფეტვიაშვილი

წევრები:

ლევან მადათოვი

იაზონ დანელია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

{თბილისი, 2018}

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 205339944

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

☐ **<u>საზოგადოებრივი კოლეჯი</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში“ ვიზიტის განხორციელების საფუძველია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 13 ივლისის N632 ბრძანება, რომლის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამატების განაცხადით წარმოდგენილი პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის (დანართი N1) შესაბამისად. ვიზიტამდე ექსპერტთა მიერ მოხდა ცენტრში გადმოგზავნილი დოკუმენტაციის შესწავლა. ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებმა აქტიურად ითანამშრომლეს ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან, დროულად წარმოადგინეს დამატებითი დოკუმენტაცია და ორგანიზება გაუწიეს პროფესიულ მასწავლებლებთან და დამსაქმებლებთან შეხვედრებს. ვიზიტის პირველ დღეს გადამოწმდა პროგრამასთან დაკავშირებული მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია, მოხდა პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება, პროგრამასთან დაკავშირებული სასწავლო ფართის დათვალიერება, გადამოწმდა დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაცია. ავტორიზაციის ვიზიტის მეორე დღეს განხორციელდა ვიზიტები პრაქტიკის ობიექტებზე, გასაუბრება დამსაქმებლებსა და პრაქტიკის მოდულების განმახორციელებელ პირებთან, გადამოწმდა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{თბილისი, 2018}

II. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები**		**მუხლი 6**	■	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისაწიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

	მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.			
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისაწიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**		
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**		
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**		
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**		
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს	**მუხლი 6 /**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

	საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**პუნქტი ვ)**		
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	[redacted]	☐
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	[redacted]	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	[redacted]	☐
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	[redacted]	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	[redacted]	☐
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	[redacted]	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

	კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;			
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**		
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**		
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**		
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**		
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**		
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**		
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**		
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**		
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა,	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

	საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;			
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**		
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**		
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**		
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**		
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიაში“ ვიზიტის პროცესში, როგორც კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ასევე პრაქტიკის ობიექტებზე დამსაქმებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ კოლეჯი წარმოადგენს მნიშვნელოვან პარტნიორს დამსაქმებლებისთვის შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კადრების მომზადების კუთხით.

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ გამორჩეულია დასაქმების მაღალი მაჩვენებლით - 98%. დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა წარმატებული თანამშრომლობის პრაქტიკა, დამსაქმებლებმა ასევე გამოთქვეს მზაობა აქტიურად გააგრძელონ თანამშრომლობა განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შრომის ბაზარზე მუდმივად იზრდება მოთხოვნა კადრებზე. ამას გარდა კოლეჯს გააჩნია კურსდამთავრებულთა კოლეჯში დასაქმების კარგი პრაქტიკა, პროფესიული განათლების მასწავლებლების მნიშვნელოვანი ნაწილი (17) წარმოადგენს კოლეჯის კურსდამთავრებულებს.

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, მოხდეს დაწესებულების მიერ სამოქმედო გეგმის დახვეწა და მასში აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინება. კერძოდ, სამოქმედო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ შესასრულებელ ამოცანებს/აქტივობებს, არამედ შესრულების ვადებს, საჭირო რესურსებს, პასუხისმგებელ პირებსა და ინდიკატორებს, რომელთა საშუალებითაც მოხდება მასში მოცემული ამოცანების/აქტივობების მიღწევის ხარისხის შეფასება. დაწესებულება უნდა აწარმოებდეს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს და ამზადებდეს წლიურ ანგარიშს, რომელიც უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

VII. დაწესებულების მისია

საზოგადოებრივი კოლეჯის მისიაა ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებით ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა/გამოყენების ხელშეწყობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{თბილისი, 2018}

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ წარმოადგენს ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელსაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის №14 გადაწყვეტილებით მიენიჭა პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლება. კოლეჯს სურვილი აქვს, დაიმატოს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ (2018 წლის 13 ივნისის N 183 ბრძანებით).
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შედგება პროგრამის ჩარჩო დოკუმენტისა და მოდულებისგან. აღნიშნულ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია: მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია; პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები; პროგრამის მიზანი; სწავლის შედეგები; პროგრამის მოცულობა კრედიტებში და ხანგრძლივობა. ასევე პროგრამაში წარმოდგენილია ზოგადი, საერთო სავალდებულო პროფესიული დარგობრივი და პროფესიული დარგობრივი მოდულები. საგანმანათლებლო პროგრამას თან ახლავს ინფორმაცია საგანამანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ; სასწავლო გეგმა (პროგრამის განხორციელების დინამიკის ცხრილი, გადანაწილებული კვირების მიხედვით), რომელშიც ასახულია მოდულების განხორციელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თანმიმდევრობა. სასწავლო გეგმა შედგენილია მოდულების წინაპირობების, სტუდენტთა კვირეული დატვირთვის (არა უმეტეს 40 საათი კვირაში) გათვალისწინებით.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის № 121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მუხლი 4[1] „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების წესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში“, და ასევე შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებითა და მოდულებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის რეალიზებისათვის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის შემდეგი მემორანდუმები:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო
- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
- შპს „სქაი ჰაი“
- შპს „ვივა სოლუშენს“ და სხვა.

მემორანდუმით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის წარმართვის წესი, მხარეთა უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობები. ექსპერტების მიერ მოხდა პრაქტიკის რამდენიმე ობიექტის ადგილზე დათვალიერება და მის წარმომადგენლებთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება, რომელმაც აჩვენა, რომ კოლეჯი წარმოადგენს მნიშვნელოვან პარტნიორს დამსაქმებლებისთვის შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კადრების მომზადების კუთხით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამითა და უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 13 ივნისის N 183 ბრძანებით;
ინტერვიუირებით დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან. პროფესიულ მასწავლებლებთან და პრაქტიკის განმახორციელებლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

{თბილისი, 2018}

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე http://www.itvet.ge/. კატალოგი მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების შესახებ, საკონტაქტო ინფორმაციას, დაწესებულების მისიას, პროფესიული პროგრამების მიზნებს, საფეხურებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციებს, მოცულობას, ხანგრძლივობას, სწავლების ენას, სწავლის შედეგებს, დასაქმების სფეროებსა და პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასებას. წარმოდგენილია ინფორმაცია პროექტების, პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ. მომზადებულია დასამატებელი პროგრამის აღწერილობა (კატალოგი), რომელიც პროგრამის დამატების შემთხვევაში განთავსდება კოლეჯის ვებგვერდზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამითა და უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 13 ივნისის N 183 ბრძანებით;

ინტერვიუირებით;

ვებგვერდზე http://www.itvet.ge/ *განთავსებული კატალოგით.*

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{თბილისი, 2018}

საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამითა და უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 13 ივნისის N 183 ბრძანებით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტითა და შესაბამისი პროფესიული სტანდარტით .

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებგვერდზე http://www.itvet.ge/ განთავსებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადაც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობა/არაფორმალური განათლების აღიარების წესი, სტუდენტის მიღწევების შეფასების ერთიანი პროცედურა, სტუდენტის უფლება-მოვალეობები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები. ვიზიტის დროს შემოწმდა სტუდენტების რეესტრის წარმოება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
ვებგვერდით http://www.itvet.ge/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

{თბილისი, 2018}

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებგვერდზე http://www.itvet.ge/ განთავსებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადაც მუხლი 5.-ში განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი ახორციელებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას და პროფესიულ სტუნდენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც ხორცილედება იგივე საგანმანათლებლო პროგრამა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი აწვდის ინფორმაციას პროფესიულ სტუდენტს არსებული დაფინანსების წესის შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
ვებგვერდით http://www.itvet.ge/

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამისათვის შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი, რომლის საქმიანობის ამოცანაა, დაინტერესებული მხარეების ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმების განსაზღვრა და მათი შესრულების უზრუნველყოფა, შესაბამისად: ა) უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის მაღალი დონეს; ბ) ახორციელებს შეფასების გამჭვირვალე და ობიექტურ მიდგომებს; გ) ნერგავს და მართავს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შიდა სისტემას. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დოკუმენტში, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე გაწერილია, როგორ ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ შეფასების უზრუნველყოფა; კერძოდ, გამოკითხვის შედეგების ანალიზი და სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით საჭირო რეკომენდაციების გაცემა; საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ჩარიცხული, სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა მაჩვენებლის სტატისტიკური ანალიზის გაკეთება და სხვა. ხარისხის უზრუნველყოფისა და პროგრამების მენეჯერმა წარმოადგინა პროფესიული მასწავლებლის და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის ფორმები და შიდა მხარდაჭერის ჯგუფისთვის საკონტაქტო საათებზე დასწრების კითხვარები და დოკუმენტაცია, რომლის ანალიზის შედეგებს დაწესებულება იყენებს პროგრამის დახვეწისა და განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით;
ინტერვიუირებით პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ მასწავლებლებთან;
ინტერვიუირებით ხარისხი უზრუნველყოფისა და პროგრამების მენეჯერთან;
პროფესიული მასწავლებლის და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის ფორმებითა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფისთვის საკონტაქტო საათებზე დასწრების კითხვარებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ მდებარეობს ქ. თბილისში, ფანჯიკიძის ქ. 1ა - ში (საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით ბუდაბეშტის 1) 5 სართულიან შენობაში. მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების მესაკუთრეა სახელმწიფო, რომელსაც კოლეჯისთვის სარგებლობის უფლებით, კოლეჯის არსებობის ვადით გადაცემული აქვს მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები, ძირითადი შენობა ნაგებობის საერთო ფართია 3083.27 კვ.მ, ხოლო დამხმარე ნაგებობის (საქვაბე) საერთო ფართია - 92.19 კვ.მ.

№	მისამართი	კვ. მ.
1	ქ.თბილისი, ბუდაპეშტის 1 (ს/კოდი[redacted]	3175.46

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები)

საჯარო რეესტრის ამონაწერით[redacted]

შენობის აზომვითი ნახაზით;

მიღება-ჩაბარების აქტით;

ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

[redacted]**ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯს „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის №14 გადაწყვეტილებით მიენიჭა პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლება, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 მარტის №26 გადაწყვეტილებით გამხორციელდა ცვლილება და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 616 -ით.

დაწესებულებაში ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ გამოყოფილია აუდიტორიები (B/C გარემოები) შესაბამისი ინვენტარითა და აღჭურვილობით დაწესებულების მეორე და მეოთხე სართულზე, კერძოდ:

1. 202 აუდიტორია (B/C) აუდიტორია (30 კვ.მ.) უზრუნველყოფილია ადგილებითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერებით **15 პროფესიული სტუდენტისთვის.**
2. 204 აუდიტორია (B/C) – აუდიტორია (40 კვ.მ.) უზრუნველყოფილია ადგილებითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერებით **20 პროფესიული სტუდენტისთვის.**
3. 407 აუდიტორია (B/C) – აუდიტორია (30 კვ.მ.) უზრუნველყოფილია ადგილებითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერებით **14 პროფესიული სტუდენტისთვის.**

აუდიტორიებში განთავსებულიაღჭურვილობა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ნუსხის შესაბამისია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია 2 ცვლაში 98 სტუდენტის მიღება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

შესყიდვის დოკუმენტაციით;
ვიზუალური დათვალიერებით;
მიღება-ჩაბარების აქტებით.

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

{თბილისი, 2018}

დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები, გათბობის საშუალებად გამოიყენება ცენტრალური გათბობა, ყველა სართულზე განლაგებულია სველი წერტილები, მათ შორის შშმ პირებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

გადახდის ქვითრებით;
შესყიდვების დოკუმენტაციით;
ვიზუალური დათვალიერებით
შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი ძირითადად არსებობს ელექტრონულ მატარებლებზე, რაც პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარეობს. ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

დაწესებულებაში ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილია შესაბამისი სივრცე 15 კომპიუტერით, სადაც ყველა კომპიუტერში ჩატვირთულია მოდულური პროგრამების შესაბამისი ლიტერატურა. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკაში არსებობს საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონული კატალოგი. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ მიერ შემუშავებული ბიბლიოთეკის დებულებითა და სარგებლობის წესებით;
მიღება-ჩაბარების აქტებით;
ფაქტობრივი მდგომარეობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

{თბილისი, 2018}

ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების კატალოგი;
ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში, ადმინისტრაციის სარგებლობაშია 34 კომპიუტერი, მათ შორის 5 ლეპტოპი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

შესყიდვების დოკუმენტაციით;
ვიზუალური დათვალიერებით;
მიღება-ჩაბარების აქტებით.
შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში საქმისწარმოება ხორციელდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა Eflow-ს მეშვეობით. ასევე ხდება გამოცემული ბრძანებების აღრიცხვა, ხელშეკრულებების, პირადი საქმეების სათანადოდ წარმოება. გადამოწმდა ასევე პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა რეესტრი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ჟურნალებით;
სისტემით eflow

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების რეგულაციები ითვალისწინებს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს. ყველა სართულზე სათანადო ადგილას დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები, გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, ფუნქციონირებს სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი, პირველადი სამედიცინო დახმარების, მედიკამენტების ვარგისიანობის დასადგენად და მარაგის შესავსებად გამოყოფილია შესაბამისი პირი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

შესყიდვების დოკუმენტაციით;
ფაქტობრივი მდგომარეობით;
მიღება-ჩაბარების აქტებით.
შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შენობაში შიდა ეზოდან შესაძლებელია პანდუსით სარგებლობა, შენობაში განთავსებულია ლიფტი, რომლითაც შესაძლებელია შშმ პირთა გადაადგილება, ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები, ინფორმაცია ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული მასწავლებლების შესახებ, მარეგულირებელი დოკუმენტები, პროფესიული პროგრამები, პროფესიული პროგრამების კატალოგი, პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია, საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტო-გალერეა და სხვა. რეგულარულად ხდება ინფორმაციის განახლება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ვებგვერდის http://www.itvet.ge/ დათვალიერებით

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომელიც გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და მასში გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის მიერ. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის დამატება.

რეკომენდაცია:

ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ მოხდეს დაწესებულების მიერ სამოქმედო გეგმის დახვეწა და მასში აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინება. კერძოდ, სამოქმედო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ შესასრულებელ ამოცანებს/აქტივობებს, არამედ შესრულების ვადებს, საჭირო რესურსებს, პასუხისმგებელ პირებსა და ინდიკატორებს, რომელთა საშუალებითაც მოხდება მასში მოცემული ამოცანების/აქტივობების მიღწევის ხარისხის შეფასება. დაწესებულება უნდა აწარმოებდეს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს და ამზადებდეს წლიურ ანგარიშს, რომელიც უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმით;
ინტერვიუირებით.

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საზოგადოებრივ კოლეჯში საშტატო და შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობების დასახელებები და რაოდენობა დამტკიცებულია დირექტორის მიერ, შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან და შედგება 17 საშტატო და 9 შტატგარეშე თანამშრომლისგან. საშტატო თანამდებობებია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე (2), ბუღალტერი, ლოჯისტიკი, იურისტი/შესყიდვები, ადამიანური რესურსების მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, სასწავლო პროცესის კოორდინატორი (2), ხარისხის უზრუნველყოფის და პროგრამების მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროფორიენტაციის, საწარმოო პრაქტიკის და კარიერის დაგემვის მენეჯერი, კომპიუტერული ქსელის, სისტემების და Cisco აკადემიის ადმინისტრატორი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი (2), ბიბლიოთეკარი. შტატგარეშე თანამდებობებია: მძღოლი, დარაჯი (4), ბიბლიოთეკარი, ბაზრის კვლევის სპაციალისტი, სტრატეგიის განვითარების კონსულტანტი, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის კოორდინატორი. დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ წესდებით;
საშტატო/არასაშტატო განრიგით;
პერსონალის პირადი საქმეებით;
ინტერვიუირებით.
შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ რეესტრის მიხედვით პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა შეადგენს 45, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობაა 245. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 19 პირი, პირადი საქმეების შესწავლამ და ინტერვიუირებამ აჩვენა, რომ ყველა მათგანის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს, პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის 98-ით განსაზღვრის შემთხვევაში თანაფარდობა იქნება 5 პროფესიულ სტუდენტზე 1 პროფესიული მასწავლებელი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
პირადი საქმეებით;
გასაუბრებით პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ მასწავლებლებთან.
შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების შინაგანაწესის შესაბამისად. კერძოდ, პირი სამსახურში მიიღება პირადი განცხადებისა და დირექტორის ბრძანების/ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობით, შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა და დასაქმებულთა თანამდებობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით/კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, რომლითაც დასტურდება კოლეჯის ნება პირის სამუშაოზე მიღების შესახებ. შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსით“დადგენილი წესით. შინაგანაწესი მოიცავს სამუშაო ადგილს, სამუშაო დროს და დასვენების დროს, სამუშაო დროის აღრიცხვას, ზეგანაკვეთურ სამუშაოს, დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობის გამონაკლის შემთხვევებს, არასამუშაო დროს სამუშაო ადგილზე ყოფნის პირობებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

და სხვ. შრომით ხელშეკრულებაში არის მითითება შინაგანაწესის თაობაზე, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. პირადი საქმეების შესწავლის საფუძველზე, პირადი საქმეები იყო სრულყოფილი შინაგანაწესის შესაბამისად და მოიცავს ა) განცხადება დასაქმების შესახებ; ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; გ) ერთი ფოტოსურათი ¾. დაბეჭდილი, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად; დ) ავტობიოგრაფია ან რეზიუმე (CV); ე) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

პერსონალის პირადი საქმეებით;
შრომითი ხელშეკრულებებით
პროფესიულ მასწავლებლებთან ინტერვიუირებით.
შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	IV	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში 040173	90	120	ქართული	ქ. თბილისი, ფანჯიკიძის 1ა	0	98

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი N1 - დღის წესრიგი 2 ფურცლად

15/08/2018 თბილისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---